

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ  
ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ვახტანგ ქუჩულორია  
თანამდებობის დასახელება- ფრაქციის თავმჯდომარე  
ფრაქციის დასახელება \_ „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“  
კომისი(ებ)ის დასახელება - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების  
კომისია; სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)-N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი  
საანგარიშო პერიოდი -2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 25  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 23

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_ 28  
კომისიის სხდომებზე დასწრება \_ 22

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 11  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -11

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“;
- გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

-----  
6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 13 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 250

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზებისა და წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, მდინარე ჭანისწყლის სანაპიროზე დანაგვიანების ამკრძალავი ნიშნების განთავსება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

- ა) ქ. წალენჯიხა, სოხუმის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა, გზის მოასფალტება;
- ბ) ქ. წალენჯიხა, სოხუმის და მეუნარგის ქუჩაზე ხიდის მშენებლობა;
- გ) გარე განათების მოწყობა ქუჩულორიას ქუჩაზე, ქიაჩელისა და შენგელიას ქუჩებზე რკინა-ბეტონის არხების მოწყობა, ქიაჩელისა და წერეთლის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- დ) ცენტრალური ბაზრის ტერიტორიის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა  
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წარვმართავ საქართველოს

კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

2016 წლის 9 ოქტომბრამდე ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“-ის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქციის 11 სხდომა, ფრაქციის სხდომები ტარდებოდა რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს.

აქტიურად ვმონაწილეობ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების მუშაობაში. დავესწარი კომისიების მიერ ორგანიზებული 28 სხდომიდან 22 სხდომას.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი ფრაქციისა და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.

შევსების თარიღი \_ 31.10.2015 წ.

წარდგენის თარიღი - 31.10.2016 წ.

ხელის მოწერა 